



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ რუსთავის N26 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე

წევრები:

თამთა დარსაველიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ნინო ბურჯალიანი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო ფორჩხიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მარიამ მატიაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ჩხიკვაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ტოლია კილასონია- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიო ხვადაგიანი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

სვეტა გორგიშელი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

საბა დარსაველიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ეკატერინე მაკარიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი
ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ რუსთავის N26 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216 344 542

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, კახაბერ თავგორაშვილის ქუჩა N 14
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/3KWVPV3T
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rustavi26@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0341 276824

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000960366(09/08/2024)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 2 და 3 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, კახაბერ თავგორაშვილის N14 (I კორპუსი)
2.	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, კახაბერ თავგორაშვილის N14 (I კორპუსი)
3.	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, კახაბერ თავგორაშვილის N14 (I კორპუსი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 2 და 3 სექტემბერს სსიპ ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ რუსთავის N26 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ბუაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
2. თამთა დარსაველიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
3. ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

4.წინა ფორჩხიდე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

5. მარიამ მატიაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

6.ნანა ჩხიკვაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

7.ტოლია კილასონია- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

8.სოფიო ხვადაგიანი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

9.სვეტა გორგიშელი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

10.საბა დარსაველიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

11.ეკატერინე მაკარიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ:

2 სექტემბერს, teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 3 სექტემბერს-teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი გაესაუბრა შესაბამის საფეხურზე შემავალ ყველა საგნის ექსპერტს და საკუთარი მიგნებები გაუზიარა თითოეულ საგნობრივ ექსპერტს. ორივე დღეს, სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ, შედგა ექსპერტების გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც მოხდა მოსაზრებების შეჯამება. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია გაუზიარა შესაბამისი საგნების ექსპერტებს, რაც გათვალისწინებულ იქნა საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ჩეკლისტების შევსებისას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
		სკოლა არის ერთცვლიანი

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
 ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, რომ მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. (სახელმწიფო ენა) სასურველია, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ (მათემატიკა)



		სასურველია, მეორე და მესამე კლასის კურიკულუმებში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული, თემებისა და საკითხების დამატება/გამრავალფეროვნება ასაკობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და საწარმოებს;	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, სამიზნე ცნებები არაა შესაბამისი ან უმეტეს შემთხვევაში აკლია. ზოგან არასწორადაა საკითხები და ცნებები მითითებული და არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად. (სახელმწიფო ენა) კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს და გაწერილია კათედრის სამოქმედო გეგმაში. კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი) პროექტის, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმისა თუ სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	შეფასებისას, სასურველია, დაზუსტდეს კლასი, შესაფასებელი თემა და შესაბამისი ინდიკატორები. შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. (კომპიუტერული ტექნოლოგიები) შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის, გამჭვირვალობისთვის, სანდოობისთვის, ობიექტურობისთვისა და სამართლიანობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტ-ნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა -კონკრეტულს. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)



ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია, საგანს ასწავლიდნენ სპორტის მასწავლებლები. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სასწავლო წლის დაგეგმვისას პედაგოგებმა შეიმუშაონ ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტი როგორც განამვითარებელი (I-VI კლასებისათვის) ასევე განმსაზღვრელი (V კლასის II სემესტრიდან და VI კლასისათვის) შეფასებისათვის კურიკულუმში გაწერილ შესასწავლ თემებთან მიმართებით. (უცხოური ენები) რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ტიპის დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ, სასურველია, შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (სასკოლო სასწავლო გეგმაში, დანართის სახით წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). (საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია, შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. (სახელმწიფო ენა)



		მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებს ახლავს დანართები, რომლებშიც წარმოდგენილია თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები და სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს შესაბამის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. სასურველია, უშუალოდ კურიკულუმის ცხრილშიც აისახოს ზემოთ აღნიშნული კომპონენტების ჩამონათვალი ყოველი სასწავლო თემის გასწვრივ. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო ბს;	საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: სამიზნე ცნებები არაა შესაბამისი ან უმეტეს შემთხვევაში აკლია. ზოგან არასწორადაა საკითხები და ცნებები მითითებული და არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად. (სახელმწიფო ენა) • სასურველია, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ • სასურველია სკოლაში შეიქმნას stem კლუბი. (მათემატიკა) სასურველია, კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს და გაწერილია კათედრის სამოქმედო გეგმაში. კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი) პროექტის, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმის თუ სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის, გამჭვირვალობისთვის, სანდოობისთვის, ობიექტურობისთვისა და სამართლიანობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტ-ნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა-კონკრეტულს. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ტიპის დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (სასკოლო სასწავლო გეგმაში, დანართის სახით წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). (საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია, სასწავლო წლის დაგეგმვისას პედაგოგებმა შეიმუშავონ ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტი, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისათვის კურიკულუმში გაწერილ შესასწავლ თემებთან მიმართებით. (უცხოური ენები) სასურველია, შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. (სახელმწიფო ენა)



		არჩევითი საგანი - „გარემო და მდგრადი განვითარება“ წარმოდგენილია თემატურ-კალენდარული გეგმის სახით მე-12 კლასში, რომელიც საჭიროებს მოდიფიცირებას, კათედრას ეძლევა რჩევა, არსებულ დოკუმენტში ასახოს ყველა ის მნიშვნელოვანი კომპონენტი (შუალედური მიზნები და მისაღწევი შედეგები, სასწავლო თემების შესაბამისი აქტივობები, სასწავლო რესურსები და ა.შ.), რომელიც კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია და დაეხმარება მოსწავლეს სასწავლო საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში; ასევე სამოქალაქო განათლების საგნობრივ კურიკულუმებს ახლავს დანართები, სადაც წარმოდგენილია თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები და სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებელი იყენებს შესაბამის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, სასურველია, უშუალოდ კურიკულუმის ცხრილშიც აისახოს ზემოთ აღნიშნული კომპონენტების ჩამონათვალი ყოველი სასწავლო თემის გასწვრივ. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო ბს;	საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, სამიზნე ცნებები არაა შესაბამისი ან უმეტეს შემთხვევაში აკლია. ზოგან არასწორადაა საკითხები და ცნებები მითითებული და არ არის საკმარისი შედეგის მისაღწევად. (სახელმწიფო ენა) სასურველია, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ (მათემატიკა) კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც კათედრას აქვს და გაწერილია კათედრის სამოქმედო გეგმაში. კათედრას სჭირდება პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი) პროექტის, ინტეგრირებული



		გაკვეთილის გეგმისა თუ სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის, გამჭვირვალობისთვის, სანდოობისთვის, ობიექტურობისთვისა და სამართლიანობისთვის კათედრა უნდა დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტ-ნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ყველა დავალებას და არა- კონკრეტულს. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ტიპის დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (სასკოლო სასწავლო გეგმაში, დანართის სახით წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). (საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია სასწავლო წლის დაგეგმვისას, კურიკულუმის შედგენისას წინასწარ იყოს შემუშავებული როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმში გაწერილ სასწავლო თემებთან მიმართებით. (უცხოური ენები) სასურველია, შეფასების რუბრიკების უფრო დაკონკრეტება თემებსა და საკითხებზე დამიზნებით. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი)

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.



ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი მისია და ხედვა. მისია და ხედვა გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისიას, შექმნას ნაყოფიერი გარემო ქალაქ რუსთავში ფიზიკისა და მათემატიკის გაძლიერებული შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის; აღზარდოს ლიდერის თვისებებით აღჭურვილი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე წარმატებული მოქალაქეები. სკოლის ხედვა: მოსწავლეს განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი; უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის ფიზიკისა და მათემატიკის გაძლიერებულად სწავლების შესაძლებლობა შესაბამისი პროგრამების დანერგვით; შეიმუშავოს შესაბამისი აქტივობები მოსწავლეებში სირთულეების დაძლევის, მიზანდასახულობის, თვითრეალიზაციის გაღრმავებისა და მოტივაციის ასამაღლებლად; უზრუნველყოს ესგ-ით გათვალისწინებული სხვა სასწავლო დისციპლინების სასკოლო სწავლების მეთოდებისა და მიდგომების განვითარება. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. მისიის განსახორციელებლად სკოლა მოსწავლეს უვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს; უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ფიზიკისა და მათემატიკის გაძლიერებულად სწავლების შესაძლებლობას შესაბამისი პროგრამების დანერგვით; სკოლა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თითოეულ მოსწავლეს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის საშუალება, უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ სკოლისგარეშე ღონისძიებებში; მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მშვიდი სასკოლო სასწავლო გარემო, სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ზრუნავენ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის; სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი; ორივე კორპუსის შესასვლელში ზის მორიგე დამლაგებელი, სკოლაში მოქმედებს უცხო პირთა შემოსვლისა და მოსწავლეთა გათავისუფლების საშუალებები. სკოლა აღჭურვილია კამერებით; ეზო დაცულია; სკოლაში ტარდება სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით; ხელშეწყობილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები; სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით მშობელთა აქტიური ჩართულობა და სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიები, ლაშქრობები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას და ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გააზრებული და ჩამოყალიბებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების, შემუშავების მექანიზმი. სტრატეგიული დაგეგმვა წარმოდგენილია, როგორც თანამონაწილეობითი პროცესი და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. მეთოდოლოგიის თანახმად, ასევე სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. შემუშავებული კითხვარის საშუალებით გამოკითხულია სასკოლო საზოგადოება. ჯგუფის მიერ შესწავლილია სასწავლო პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები და შეფასებები.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შემუშავებამდე სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზის საშუალებით მათი მოსაზრებების შესწავლა და გაზიარება; სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება, დირექტორის მიერ განსახილველად და შესათანხმებლად სამეურვეო

საბჭოსთვის წარდგენა; საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ კი პედაგოგიური საბჭოს მხრიდან მისი დამტკიცება. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან სწორედ პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კრებების საშუალებით. გადამუშავებული და რევიზიაგავლილი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდსა და ვებგვერდზე <https://bit.ly/3KWPV3T>.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; საგნობრივ კათედრებსა და მშობელთა კრებებზე საბოლოო ვერსიის გაცნობა და სხდომის ოქმებში ასახვა; მისია გამოკრულია საჯარო სივრცეში, სკოლის ორივე კორპუსის ფოიეში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. გადამუშავებული და რევიზიაგავლილი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე: <https://bit.ly/3KWPV3T>.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 10 ოქტომბრის N 135/ნ ბრძანების საფუძველზე, სსიპ ქალაქ რუსთავის N26 საჯარო სკოლას მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 იანვრის ბრძანება N12/ნ -ის I პუნქტის საფუძველზე, მიენიჭა ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელი. დღეს სკოლა ფუნქციონირებს, როგორც სსიპ ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის ფიზიკამათემატიკის ქალაქ რუსთავის N 26 საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023—2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;

2024-2025 სასწავლო წლის პროექტი;

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო-სასწავლო გეგმის შეთანხმებაზე,

პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო-სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე,
კლასის დამრიგებელთა კრების ოქმი,
აქტი მშობლებისათვის სასკოლო გეგმის გაცნობაზე.

შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გაწერილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელზეც იმუშავა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარების პროცესში.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელზეც იმუშავა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დაფუძნებულია სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე; სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, ხოლო ამოცანები - სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სკოლის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური თვითშეფასება, კათედრის თავმჯდომარეებისა და კლასის დამრიგებლების ანგარიშების საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სკოლის მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რეალისტური ვადები, აქტივობები. მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შეიქმნება სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
 სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
 სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ 3 წელიწადში, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე; ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელზეც იმუშავა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დაფუძნებულია სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე, გათვალისწინებულია შესაბამისი მიზნები და ამოცანები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს სკოლაში ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისათვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მეთოდოლოგიის დამტკიცებული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანის, აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებული შეხვედრაზე, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. განხორციელებული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით სკოლამ განსაზღვრა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისთვის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა ან სოციალური ქსელი, ასევე საჯარო ღონისძიებები ან ბეჭდვითი მასალები.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის სტრატეგიული განვითარება წარმოდგენილია ციკლურ პროცესად. განვითარების ხედვა დაწყებულია დაგეგმვის ეტაპიდან, დაგეგმვის ეტაპზევეა გამოკვეთილი გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმები და ორიენტირები. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამრიგად, განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის,

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება.

კათედრის წლიური ოქმი,

კლასის დამრიგებლების წლიური მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულები, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და ასევე ის თანამდებობები შესაბამისი ინსტრუქციებით, რომელიც სკოლას აძლევს ადამიანური რესურსების სრულყოფის შესაძლებლობას სკოლის გამართულად მართვისთვის. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა სტრუქტურული რგოლი: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო და კათედრები (7

კათედრა: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის; 2. საზოგადოებრივ მეცნიერებების; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 4. უცხო ენების; 5. მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ჭადრაკის; 6. ესთეტიკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის; 7. დაწყებითი კლასების), მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მანდატურის სამსახური, დირექცია, ადმინისტრაცია, არასამტატო ერთეული. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება სპეციალური მასწავლებლების, საქმის მწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისაგან, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისა და დამლაგებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებისა თუ პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. სკოლამ წარმოადგინა კათედრის, დამრიგებლის დებულებები. ასევე ელექტრონულ ჟურნალზე, მატერიალურ რესურსზე, არქივზე და სხვადასხვა მიმართულებებით პირების პასუხისმგებლობები, რომელთა პასუხისმგებლობები განაწილებული და დელეგირებულია. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში. დემოკრატიული სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასკოლო კურიკულუმების შემუშავების პროცესში გუნდური პასუხისმგებლობით. სკოლის თანამშრომლები განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. წლის დასაწყისში სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრა) გეგმავენ წლის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო წლის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

სასკოლო--სასწავლო გეგმა კათედრის თავმჯდომარეების შესახებ,

საშტატო ნუსხა,

შრომითი ხელშეკრულები;

კათედრის დებულება;

დამრიგებლის დებულება;

თანამშრომელთა პირადი საქმეები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ადამიანური რესურსების მართვის პროცესები მოიცავს როგორც მასწავლებლების, ასევე სხვა ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მართვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი; სკოლამ ასევე წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხრდაჭერის მართვის დებულება, რომლის მიზანიც სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნა, თანამშრომლობითი

კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა-გამოხატულია შემდეგი პროცესებით: დაკვირვება, შეფასება, უკუკავშირი, მხარდაჭერა. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მათი უფლებები და მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებითა და პოლიტიკის ამოცანებით იკვეთება სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პროცესები. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ახალი კადრის საჭიროება; სკოლის პერსონალის მოზიდვა, პერსონალის შერჩევა; პერსონალის შენარჩუნება, კონფიდენციალურობა; კორპორაციული ეთიკა, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ფუნქციების დელეგირების მექანიზმი და ა. შ. მაგალითად, ამ პოლიტიკის თანახმად, გაუთვალისწინებელი გარემოების გამო სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია, აცნობოს დირექტორს/ დირექტორის მოადგილეს აღნიშნულის შესახებ. მოადგილე ვალდებულია, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოახდინოს რეაგირება- საგაკვეთილო ცხრილში ცვლილების სახით. გაკვეთილი ჩაატაროს სხვა იმავე საგნის მასწავლებელმა/ შემცვლელმა მასწავლებელმა. გადანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით; პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის პოლიტიკა მოიაზრებს სხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის დროს წარმოქმნილი სავარაუდო პრობლემების მოგვარებასაც.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში მოქმედებს თანამშრომლების შერჩევის წესი, რომელიც ჩართულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და რესურსცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სკოლაში დასაქმებულებზე გახსნილია პირადი საქმე, პირად საქმეში ინახება შემდეგი დოკუმენტები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, სივი, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, ფოტოსურათი; ყველა მასწავლებელს აქვს ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; სერთიფიკატები. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მიხედვით;

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციას, რასაც ადასტურებს კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში და მატერიალური ფორმით, რომლებიც ინახება სკოლაში. სკოლას ჰყავს 27 უფროსი, მათ შორის 1 სპეც. მასწავლებელი, 7 წამყვანი, 2 მენტორი, 2 ასისტენტი. ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი სქემით მინიჭებული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის

სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწვრილებითაა აღწერილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“. სკოლის ბუღალტრის, საქმის მწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ასისტენტის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე: საგნობრივმა კათედრებმა ერთმანეთის დახმარებით შეიმუშავეს კურიკულუმები; კათედრებმა შექმნეს მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, შეარჩიეს სასწავლო რესურსები; პედაგოგიურ საბჭოზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის განხილვა, სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და დამტკიცება; სამოქმედო გეგმის დამტკიცება... სამეურვეო საბჭო, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, აქტიურად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი: წახალისების სისტემა გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმად პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. . სკოლა აღიარებს და მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებებს. სკოლის სოციალურ გვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია მოსწავლეთა, თუ პედაგოგების წარმატებების შესახებ. იქნება ეს ოლიმპიადების, კონკურსებისა თუ ეროვნული გამოცდების შედეგები, კონფერენციებში წარმატებული მონაწილეობა, პროექტებში მონაწილეობა, შიდა სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალები, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

სასკოლო სასწავლო გეგმა

საშტატო ნუსხა,

ხელშეკრულებებით უფლება -მოვალეობების განსაზღვრა,

ვაკანსიის ოქმები;

განხორციელებული პროექტის მასალები,

კლუბების სამოქმედო გეგმები.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ეხმარება მასწავლებელს გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, საჭიროებების დადგენასა და მათი პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის გაზრდას მიზნობრივი რეკომენდაციებისა და უკუკავშირის გზით. პედაგოგების გარდა, სკოლა ასევე ზრუნავს სხვა პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. მაგალითად, სკოლის დაფინანსებით ბუღალტერმა გაიარა ტრენინგები: „IPSAS–ი საქართველოს საჯარო სექტორში და ფინანსური ანგარიშგება“, „სასკოლო ბუღალტერიის თანამედროვე ტექნოლოგიები“. სკოლა აქტიურად აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას არსებული ტრენინგების შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მასწავლებლის სკოლაში მიღების წესის შემუშავება, მასწავლებლისთვის ტრენინგების ჩატარება. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ხდება მასწავლებლების მიერ სასურველი ტრენინგის შერჩევა, რომლის გავლაშიც დირექცია ასრულებს მხარდაჭერის როლს. სკოლა მასწავლებლებს უზიარებს მეთოდურ სახელმძღვანელოებს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნები, რომლის ფარგლებშიც სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პერსონალს, მისი როგორც პროფესიული განვითარების, ასევე კარიერული ზრდის მიმართულებას, რაც სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. სკოლის მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში. სკოლას ჰყავს 27 უფროსი, 7 წამყვანი, 2 მენტორი, 1 სპეც. მასწავლებელი, 2 ასისტენტი. მასწავლებლები მონაწილეობენ სავალდებულო და სხვადასხვა ტრენინგსა თუ აკრედიტებულ პროგრამაში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა იძიებს და მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. სკოლას ჰყავს 3 ლიდერი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კოლეგებს ეხმარებიან პროფესიული ზრდის კუთხით.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში იკითხება ადაპტაციისა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ეხმარება ახალ კადრს Eflows-სა და eSchool-ის ბაზებში პროფილის გახსნაში და უხსნის მას სარგებლობის წესებს. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი. სკოლა მხარს უჭერს განვითარებასთან დაკავშირებულ მასწავლებლების შემოთავაზებულ ინიციატივებს. მაგ., 2023 წლიდან მასწავლებლის ინიციატივით სკოლა დარეგისტრირდა eTwinning-ის პორტალზე. ამ პლატფორმაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ ევროპულ სკოლებთან, მათ პედაგოგებთან და იზიარებენ მათ გამოცდილებებს პროექტული სწავლებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება ;ოქმები;

ტრენინგების გავლის შესახებ ცნობები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, ასევე სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის მართვის დებულება, რომლის მიზანაც სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნა, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, რაც გამოხატულია შემდეგი პროცესებით: დაკვირვება, შეფასება, უკუკავშირი, მხარდაჭერა. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება, რომლის ფარგლებშიც მოქმედი კათედრა ეფუძნება კანონმდებლობას და დანერგვის პროცესში ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც საჭიროა სისტემატიზაციისთვის. სკოლას აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს, რეგულაციებს ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს ხარისხის უზრუნველყოფის წესს, დასკვნის შედგენა/უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, საქმისწარმოების წესში, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების პროექტებში და სხვა დოკუმენტებში. დოკუმენტებში მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირები, ნაბიჯ-ნაბიჯ განსაზღვრული საქმიანობა, პროცესების განხორციელების ეტაპები. სასკოლო დოკუმენტები სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს, დაკავებული პოზიციის შესაბამისად, აკისრებს გარკვეულ ფუნქციებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გადანაწილებას როგორც მმართველობით, ასევე ძირითად და დამხმარე პროცესებზე და ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემები. დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ნიშნის ამაღლების სურვილის შემთხვევაში მშობელი მიმართავს დირექციას გამოცდის მოთხოვნით, გასაჩივრების შემთხვევაში მოქმედებს გასაჩივრების პროცედურები, იქმნება სააპელაციო კომისია. პროცედურები გაწერილია

შინაგანაწესში. დისციპლინური წარმოება წარმართულია დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია სკოლის პრიორიტეტები, სკოლის სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები, სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობები, თანამშრომელთა მიღების წესი, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შეზღუდვის საფუძვლები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა, როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

სკოლის შინაგანაწესი

შრომითი ხელშეკრულებები;

2023-2024 სასწავლოს წლის შედეგების SWOT ანალიზი;

გასაჩივრების დეტალური პროცედურები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. სასკოლო პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მასწავლებლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ონლაინ და პირისპირ შეხვედრები, სოციალური ქსელები, TEAMS-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო ცხოვრებისა და მართვის პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლები, სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესული არიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭოს არჩევნები კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს და გამჭვირვალეა. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით ხდება. მოქმედებს შინაგანაწესით განსაზღვრული მშობელთა ინფორმირების წესი. აქტიურია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საინტერესო ინიციატივებსაც სთავაზობს სკოლას. შემუშავებულია თითოეული რგოლის დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი ფუნქციები, არჩევის წესი, ფუნქციონირება, უფლებამოსილებები და ა.შ.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კლასის დამრიგებლის მიერ მშობლებისათვის სკოლის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შესახებ შეხვედრის ჩანაწერები; •

მშობელთა ონლაინ გამოკითხვები ;

დამრიგებლის მუშაობის დებულება ,

დამრიგებლის პორტფოლიო

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორ კორპუსში ერთ ცვლაში. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლაში 24 საათის განმავლობაში არის დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, 2 დარაჯი, ფუნქციონირებს ვიდეოსათვალთვალო სისტემა, სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი. სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში ორივე კორპუსის სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია 12 ცეცხლმაქრი, დაწესებულია მორიგეობა, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი. (2 მშობელი, 2 მასწავლებელი, 2 მოსწავლე); სკოლას მიღებული აქვს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ; სკოლას აქვს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლაში წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; სკოლის ინიციატივითა და შესაბამისი სამსახურის ხელშეწყობით ჩატარდა სახანძრო სწავლება;

ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, ვინაიდან სკოლას ჰყავს ექიმი და სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. სკოლის ექიმი უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირია, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს ამ <http://www.matsne.gov.ge> 43005000022022018149 წესით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში და სკოლაში ასრულებს წამყვან, ძირითად საქმიანობას ამ წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ექიმის ვალდებულებაა სკოლის მოსწავლეების პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ექიმი აფასებს ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეს და იმის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების შესახებ. დროულად აწვდის ინფორმაციას მშობელსა და დირექციას მოსწავლის მდგომარეობის შესახებ; საგაკვეთილი პროცესიდან გათავისუფლების გამო (საჭიროების შემთხვევაში). სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებით მიმართვებს აღრიცხავს ჟურნალსა და სააღრიცხვო ფორმაში.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი, რომელიც ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში. კლასის ხელმძღვანელები ვალდებული არიან, მოსწავლის მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შეტყობინება მიაწოდონ მშობელს. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების

კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 12 ვიდეო კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 15 ვიდეოკამერა. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს, მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის; ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს და ა. შ. ამასთან სკოლა აღჭურვილია სამეთვალყურეო კამერებით როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, პირადი ასისტენტები და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აქტივობები იგეგმება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი, სოციო-ემოციური თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და სტაბილური გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. რეფერირების პროცედურებში აქტიურადაა ჩართული სკოლის მანდატურის სამსახური.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში განსაზღვრულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭიროებას. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში თვალშისაცემად იგრძნობოდა სისუფთავე და წესრიგი. სკოლის საპირფაროებში ზედმიწევნით დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 4 დამლაგებელი, სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულნი არიან პირები სველ წერტილებში ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლას განსაზღვრული აქვს არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ: სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“; განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებული მონაცემების

წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ ინფორმაცია. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლას ჰყავს IT სპეციალისტი, ხოლო „პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალური მონაცემების გაწერილი მექანიზმებთან ერთად არის ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

8. სკოლის დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებას წარმოუდგენს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ანგარიშს. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების ეფექტური გზები.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურცენტის წარმომადგენელი. წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე;

ბრძანება არქივის პასუხისმგებელი პირის შესახებ,

ევაკუაციის გეგმა,

მრჩეველთა საბჭოს ოქმი,

დისციპლინური კომიტეტის დებულება, ოქმები;

მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი,

მოსწავლეთა მობილობის წესი.

სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;

სკოლის მიმართვა და პასუხი სახანძრო დეპარტამენტიდან სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ;

სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2008 წელს უზურფუქტის ხელშეკრულებით სკოლას სარგებლობის უფლებით გადაეცა 27116, 77 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 3345, 85 კვ.მ. სკოლის შენობა რეაბილიტირდა 2023 წელს. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2 კორპუსში, ერთ ცვლაში; ორივე შენობა არის 3- სართულიანი. პირველი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია: სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, საქმის მწარმოებლის კაბინეტი, ბუღალტერია, მანდატურის ოთახი, 6 სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ფიზიკის ლაბორატორია; კომპიუტერული ლაბორატორია; 2 საკლასო ოთახი და 2 სველი წერტილი; მესამე სართულზე განლაგებულია სააქტო დარბაზი და 4 საკლასო ოთახი. მეორე კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია: ადმინისტრაციის ოთახი; მანდატურის ოთახი; დარაჯის ოთახი; ექიმის ოთახი; მტუკ-ის ოთახი; ბუფეტი; კომპიუტერული ოთახი; რესურსოთახი; 3 დიდი და 3 შედარებით მცირე საკლასო ოთახი განაყოფებისათვის; 14 სველი წერტილი; მეორე სართულზე- ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, 2 ლაბორატორია აღჭურვილობის გარეშე, რომლებიც ამ ეტაპზე გამოყენებულია საკლასო ოთახებად; 2 დიდი და 3 შედარებით მცირე საკლასო ოთახი; ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებითა და სასკოლო დაფით. საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და ფიზიკის ლაბორატორიები , ასევე კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია მოსწავლის 20 და მასწავლებლის 1 კომპიუტერი; 30 ასევე 5 პროექტორი; პროექტორის 1 ეკრანი; პრინტერი 6 ცალი (მუშა მდგომარეობაში-5, დაზიანებული-1); 22 ცალი ნოუტბუქი (მუშა მდგომარეობაში-16,

დაზიანებული-6); სკოლას ახლახანს გადაეცა 59 ახალი პორტაბელური კომპიუტერი და 2 ცალი A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი. სკოლას დამატებით განაცხადი გაკეთებული აქვს 260 ცალ II, III, IV დონის მერხზე. სკოლას აქვს 30 საკლასო ოთახი. სკოლის ორივე კორპუსი დაფარულია უკაბელო ინტერნეტ ქსელით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის განკუთვნილი ლაბორატორიის რესურსი, რომელიც გადმოეცა 2018 წელს. ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის ასაკსა და საფეხურს. ხდება ინვენტარიზაცია და ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები, იქმნება შესაბამისი დოკუმენტები.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილია კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, სააქტო დარბაზის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიების, რესურსოთახისა და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსისა და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის გრაფიკი და სამუშაო დღის რეჟიმი, რომლებიც გამოკრულია შესაბამის ადგილებში.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც დაყოფილია ზონებად: სამკითხველო/პრეზენტაციების სივრცე; წიგნების განთავსების ზონა და ბიბლიოთეკარის სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს სკოლის მე-2 კორპუსში. მისი წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრული ლიტერატურის 5624 ეგზემპლარს, ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც განხილულია ბიბლიოთეკის სტრუქტურა, საბიბლიოთეკო დოკუმენტის (რესურსის) გატანა-დაბრუნების პროცედურები და ა. შ. დებულება ასევე განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მუშაობის წესსა და პირობებს, ასევე ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობებს. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს, ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრული „ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესის“ შესაბამისად.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ადაპტირებულია გარემო, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და 2 ასისტენტი. სკოლის ორივე კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი სსსმ მოსწავლეებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ეტლით მოსარგებლეს შეეძლება დაუბრკოლებლად გაადგილება სკოლის გარე და შიდა სივრცეში, სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი თავისი ინდივიდუალური და ადაპტირებული საპირფარეშოებით. რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერით, ტაქტილური აღქმის სხვადასხვა რესურსით: სამერწი, ფანქრები, საღებავები, თაბახის ფერადი და თეთრი ფურცლები, ფაზლები. კუბიკები, რიცხვების ლოტო; სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი ხორციელდება უნივერსალური დიზაინით, მრავალი სენსორული აღქმის მეშვეობით საგნის და სპეციალური მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებს, ახდენდნენ საგანთა შორის ინტეგრაციას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ახდენენ რესურსების მოძიებას/ შექმნას მოსწავლის საჭიროებისამებრ. ეტლით მოსარგებლეებისათვის სკოლის ორივე კორპუსს აქვს ლიფტი, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება ყველა სივრცეში; ამასთან სველი წერტილებიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. კერძოდ, სკოლის ეზო, სპორტული ინფრასტრუქტურა, ნათელი და ფართო დერეფნები, სააქტო დარბაზი და საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ სხვადასხვა სახის სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,

სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;

სკოლის შენობა-ნაგებობის სქემა;

2023 წლის 13 დეკემბრის N1706819 წერილი ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრისადმი სკოლისათვის სხვადასხვა დონის მერხების საჭიროების შესახებ.

საინვენტარო აღწერილობის აქტები;

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს 1 კომპიუტერული ოთახი ორივე კორპუსში. ჯერჯერობით კომპიუტერებით აღჭურვილია პირველ კორპუსში გამოყოფილი სივრცე, სადაც დგას მოსწავლის 20 და მასწავლებლის 1 კომპიუტერი; სკოლას აქვს 5 პროექტორი; პროექტორის 1 ეკრანი; პრინტერი 6 ცალი (მუშა მდგომარეობაში-5, დაზიანებული -1); 22 ცალი ნოუტბუქი (მუშა მდგომარეობაში-16, დაზიანებული-6); სკოლას გადაეცა 59 პორტაბელური კომპიუტერი და 2 ცალი A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავთეთრი ლაზერული პრინტერი. აღნიშნულ კომპიუტერულ ტექნიკას მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილების ჩატარებისას, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის, დოკუმენტების შესაქმნელად. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართულობით იქმნება ელექტრონული რესურსები, გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია

საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლამ წარმოადგინა აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანიც სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, წესში გაწერილია ყველა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით დადგენილია სასკოლო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში შემუშავებულია განრიგი და სარგებლობის წესი. სკოლაში გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, სკოლას აქვს შექმნილი სოციალური გვერდი კომუნიკაციისთვის და სიახლეების გაზიარებისთვის. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ამ მიმართულებით სკოლის პერსონალის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ციფრული განვითარების გეგმა;

კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები,

ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სარგებლობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესით. იყენებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას(e-flow). სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია, ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და ასე შემდეგ. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან კავშირით. eSchool-ის ელექტრონულ ბაზაში ასევე შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, ამასთანავე იგივე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილების რეგისტრაცია. ინფორმაციისა და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა - rustavi26@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eflow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებითა და განცხადებებით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ.).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა იყენებს საქმიანობაზე მონიტორინგისა და კონტროლის შემდეგ სისტემას: ხდება სკოლის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელთა ანგარიშების შექმნა, მათი მხრიდან გაწეულ საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და ანგარიშგება. კერძოდ, პირველი სემესტრისა და წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო განიხილავს და აფასებს მიღწეულ შედეგებს, ქმნის რეიტინგებს და სტატისტიკას. კათედრები განიხილავენ სემესტრულ მუშაობას, წერენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზებს, გამოყოფენ მიღწევებსა და სირთულეებს, სახავენ სამომავლო გეგმებს. წესისამებრ ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სრულყოფილ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, რომელშიც ფინანსურ საკითხებთან ერთად აქცენტები კეთდება პრიორიტეტებზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება რესურსცენტრის წარმომადგენლის, დირექტორის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის, პედსაბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იხილავს ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მართავს შეხვედრებს, ამზადებს ანგარიშებს. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესს სკოლაში და წერს შესაბამის დასკვნას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმის წარმოების წესი ;
- ელექტრონული მომსახურების სისტემა- Treasury;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა- ე-ფლოუ ;
- სკოლის სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი, 10 დეკემბრის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება: საინფორმაციო შეხვედრები (როგორც პირისპირ რეჟიმში, ასევე ონლაინ პლატფორმაზე), ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო ზარი, სატელეფონო შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა და სოციალურ ქსელი. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლას აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი კომუნიკაცია. ეს ინფორმაციები ერთნაირად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის გამოიყენება ონლაინ და პირისპირ შეხვედრები, სოციალური ქსელები, TEAMS-ის პლატფორმა, forms-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე

გამოქვეყნებულია ინფორმაციები ცვლილებების, ჩატარებული ღონისძიებების, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები, რაც უზრუნველყოფს საჯაროობის პრინციპს და უკუკავშირის მიღებას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე “skolebi.emis.je”, სადაც განთავსებულია სკოლის მისია, შინაგანაწესი, გაკვეთილების ცხრილი, საათობრივი ბადე, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მისცემს მშობლებს სასკოლო ცხოვრების გაცნობის საშუალებას. ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. ვებ გვერდი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი სკოლის შესახებ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიუჯეტი. ვებ გვერდზე ჯერ არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანგარიშები.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობელთა კრების ოქმი,

- დამრიგებლების მშობლებთან შეხვედრების ინდივიდუალური ფორმა,
- აქტი მშობლებისათვის სასკოლო გეგმის გაცნობის შესახებ.
- სკოლის პორტალი: <https://bit.ly/3KWPV3T> •

სკოლის სოც. გვერდი: <https://www.facebook.com/profile.php?id=100009906345565>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

